ხელშეკრულება №31
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფ. აჭარისწყალი **22 ივლისი 2016 წელი**

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ს [1]'' პუნქტის საფუძველზე ერთის მხრივ ხევაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭარისწყლის საჯარო სკოლის (საიდენტიფიკაციო N 248386777) წარმოდგენილი სკოლის დირექტორი ლელა გორგოშაძის სახით - (შემდგომში ,,შემსყიდველი''), ხოლო მეორეს მხრივ, ს.ს. ,,აჭარკაპმშენი''-ს საიდენტიფიკაციო №245423778) დირექტორი გია კახიანის სახით (შემდგომში ,,შემსრულებელი)'', ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ფასი

1.1.შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ სკოლის შენობის სახურავის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.(CPV კოდი:71300000)

1.2 მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 600(ექვსასი) ლარს.

2. საქონელის მიღება – ჩაბარება

2.1. მომსახურეობა ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ,ანგარიშ ფაქტურის გაფორმების შემდეგ.

2.2. მომსახურეობის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

2.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის ხარისხისა და წუნდების მიზეზის მითითებით

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორი - ლელა გორგოშაძე.

4. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების გაწევის ადგილია: სოფელი აჭარისწყალი

4.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 22 ივლისიდან 2016 წლის 12 აგვისტომდე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 4.2 პუნქტში.

5.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

6.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1.ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 22 ივლისიდან და მოქმედებს 2016 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით.

11. სხვა დებულებანი

11.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

11.2,ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, საიდანაც თითო ეგზემპლარი ინახება ,,შემსყიდველთან'' და ,,მომწოდებელთან''.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმომწერები:

შემსყიდველი:
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭარისწყლის საჯარო სკოლა
მის.ხელვაჩაური, სოფელ აჭარისწყალი
საიდენტიფიკაციო კოდი 248386777
ს.ს. „ციტიბი ბანკი ჯორჯიას " ბათუმის ფილიალი
ბ/კ: UGEBGE22
GE26VT5500000001693408
ტელ: 577 20 42 50

დირექტორი ლელა გორგიშაძე

მიმწოდებელი:
ს.ს. „აჭარკაპმშენი"
მის: ქ.ბათუმი,გრიბოედოვის ქ. №2ა
საიდენფიკაციო კოდი 245423778
ს.ს.,,საქართველოს ბანკი''
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE89BG0000000121359400

დირექტორი გია კახიანი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

სოფ. აჭარისწყალი

22 ივლისი 2016 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ჩვენ ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭარისწყლის საჯარო სკოლისა და ს.ს:„აჭარკაპმშენი''-ს შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №31(22/07/2016 წ.) ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტის შესყიდვის განხორციელებაში (გამარტივებული შესყიდვა) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
სოფელ აჭარისწყლის საჯარო სკოლის
დირექტორი /ლ. გორგოშაძე/

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
სოფელ აჭარისწყლის საჯარო სკოლის
მატერიალურ-ტექნიკური
უზრუნველყოფის კოორდინატორი /დ.თავდგირიძე/